

ლიტერატურული ხელობა




ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბის“ დამატება
№1, 30 იანვარი, 2023 წელი

მაყვალა ხაჩიძე - 75

სულის ქსოვილთან

გადამსკდარ მოლზე ამოსული გვირილის გვირგვინს
თავზე მოხდენით და კეკლუცად დაიდგამს ვინმე!..
მერე, ვიღაცა თერძის თითებს დაეკონება, –
როგორ ლამაზად შეკერეო – ბედნიერება!..
... და ვინ რა იცის, ცერა თითის დაჩხვლეტილ ბალიშს,
რა ტკივილი აქვს!..
გულს ვინ აბერებს? დღემდე, ისიც, სულის შებერვით,
ათასი კითხვით ისევ ავსებს ბაბუანვერას...
თეთრი ფთილა კი ცრუ იმედით სავსე ეტლს მისდევს,
რაც, იმთავითვე, ღრუბლებს მიღმა გაუჩინარდა...
ქალალდის გემმა რომ იტვირთა მიზნის საბადო,
ტალღებმა ციმციმ მიიტანეს ფრთათეთრ კუნძულთან...
სულშიშველი და ფეხშიშველი იდგა ქარაფზე
და სიყვარულის საგალობელს რადგან მღეროდა,
უფალმა სხივი ჩამოუშვა დედამიწაზე
და გაზაფხულის ბილიკებით აღმა ატარა...
მწუხრის მღვიმეში ნათლის სხივი აბორიალდა, –
ლაბირინთიდან რეალობის სარკესთან იხმო
და ასე, რწმენით, სულ სხვა კარი გამოიჭედა...
აღმოაჩინა იმ კარს მიღმა ათასი ფერი, –
ზოგი საამო, ზოგი მჭრელი გულთა და თვალთა
და გრძნობდა, როცა დაზაფრული ვერ დგამდა ნაბიჯს,
უფალს მიჰყავდა, როგორც ჩვილი, ატატებული...
ნეკერჩელის ტოტზე გასაშრობად შერჩა სხეული...
ამასობაში, სულმა ისე გამოიდარა,
რომ უშურველად გასცა სითბო, სულთა სალბუნად...
ნუ გაიკირვებთ, ნაფლოქვარში ჩამდგარი გუბით
მეუდაბნოე თუ პირს იძანს, ინყურებს წყურვილს...
ყვითელი სევდით სავსე ხურჯინს მორჩილად ზიდავს.
ქარბუქისაგან წაშლილ გზებზე ცრემლს ყრის იებად,
რომ სიყვარულმა არასოდეს დაიყვავილოს!..
თუ მარტოსულმა გულის კარზე მოგიკაუნათ,
გახსენით კარი!..
იქნებ შენ ის ხარ, ვისაც ეძებს მთელი ცხოვრება...
მის საძინებელს მზის სხივები დაეპატრონენ
და მთვარის ქიმზე ამოქარგულ ოცნების კოშკში
იქნებ აცივდა?! გახსენით კარ!!!
იქნება, სადმე ნამსხვრევია ბედნიერების,
ჯერაც ყმანვილი ქალის თითებს რომ გაუგარდა
და სამყაროში ყრუ ქვითინით მიმოიფანტა!
გულფიცხი მიწის მკერდზე მხოლოდ მას ვერ პოულობს,
დაეძებს დღემდე, ვით სამკაულს ძვირფასთვლებიანს...
ქალი ქალია... ზოგჯერ გულსაც ადევს ბოქლომი,
რომლის გახსნასაც მზის მეათე თვალი სჭირდება...
დღეს შემოდგომამ ვერცხლისფერი ღილი შეიხსნა
და მკერდზე ისე დავენაფეთ, როგორც ჩვილები...
ამოვიკითხეთ... შევიცანით... გავითავისეთ...
ვინ რა და, მან კი, დედამიწას ფრთა მიახატა...



მზითვი – შვილიშვილებს

მზითევში ვატან ჩემს შვილიშვილებს „დედაენას“ და „ვეფხისტყაოსანს“, სიბრძნეს, სიქველეს, უფლის წყალობას, ქმრის ერთგულებას, ქართველქალობას, „ბულბულის სტვენას, შაშვის გალობას“... ვუსურვებ დიდხანს ჯანმრთელ სიცოცხლეს და საიმედო შთამომავლობას!..

ვისი გორისა ხარ?!

უნდა გახსოვდეს, „ვისი გორისა ხარ“, სით მოხვედი და საით მიდიხარ... უნდა იარო წელგამართულმა, უნდა უწყოდე მისი წარსული, მისი აწმყო და მისი ხვალისდღე, თუ ფიქრობ, ისე არ არის ახლა, როგორც შენც გსურდა, თითქოს და, გაქრა ძველი დიდება, რა ვუყოთ მერე, მზე როცა ჩადის, მომდევნო დღეს ხომ ისევ ინთება?

ისევ დავცოტავდით...

მშვილდ-ისარს ნუ დავუმიზნებთ მზეს და ნუ დავაბნელებთ სამყაროს, მხოლოდ სიხარულით, ცაში ქუდები ავყაროთ... ოლონდ, მტრედებს ნუ დავაფეთებთ, შორს ნუ გადახვეწავთ... ისეც დავცოტავდით, დავილიეთ, დავდნით... ზნეობას ნუ დავკარგავთ, თორემ გვიანი იქნება სინანული... თუ არ გამოვფხიზლდით და დავივიწყეთ სიყვარული, მტერი მოგვერევა ვერაგი და ვეღარ გვიმველის ვერავინ.

ქადაგლის ხილი - 75

სიტყვა ქართული

შენ ხარ სინათლე –
ციურ გარსში
გამოკვართული,
შენ ხარ სურვილი –
ოქრომკედით
ამოქარგული,
შენ ხარ მზის სხივი,
ნაპერნკალი –
სიტყვა ქართული.

ჩემი მამული მარტოოდენ
ცრემლის გუბეა...

ჩემი მამული ჯავრიანი
ფიქრის ჯაჭვია,
არც შალვა მოჩანს,
არც ელიზბარ,
არცა თევდორე,
არაგველების შეძახილიც
უამმა წაიღო,
დიდი ხანია,
რაც ისინი
გამოვიგლოვეთ...
დავეძებთ გმირებს,
არსად ჩანან
და ვერც ვერავინ
გამოვიგონეთ...
ჩემი მამული
მარტოოდენ
ცრემლის გუბეა,
ისე პატარა,
ვით ნარჩიტას
ჭრელი ბუდეა,
თუ არ ვივარებეთ,
იმ ბუდესაც
ვიღაც წაიღებს,
ქარი გაფანტავს
ჩვენი სულის
წმინდა წანილებს.
სხივი გამოკრთა,
ლაჟვარდებში
ვლანდავ არწივებს...
გმადლობ, უფალო,
მალე, ალბათ,
მართვებიც
გამოჩნდებიან!..

ნასოფლარი

გამოვექეცით ხვატისაგან გათანგულ ქალაქს
და გზადაგზა დავეძებთ ჩრდილებს,
დაშაშულ მიწას გადუხსნია ბებერი მკერდი
და მწყრალად გვიმზერს...
წამს გადავაწყდით იქვე ნასოფლარს
და საშინელი ვნახეთ სურათი:
დამშრალ გუბეში ყიყინებს მყვარი
და მის ამღვრეულ, ელამ თვალებში
მოჩანს დანგრეულ საყდრის გუმბათი.
წამოსახლარზე დგას დალლილი და
ამაოებით დასჯილი კაცი,
მხოლოდ სიცხისგან უჩრდილავს ქუდი,
კატა გაჩხინკულ თათებს ილოკავს
და გაუდია ყავარზე ქუდი.
ორლობების გადაბლანდულ ეკალ-ბარდებში
ნადირივით შლიგინებს ქარი...
დაძმარებულნი დავპრუნდით უკან,
გამოვიყოლეთ სამყაროს და
იმ სოფლის დარდი...

როცა ყოფის ნიუარაში
სუნთქვა შეუძლებელია,
როცა წუთისოფლის გზებზე,
გავლა გაძნელებულია
და სიცოცხლე ხანიერი
ცრემლით გადავსებულია,
ნუ ემდური ბედისწერას,
განა ყველა რჩეულია!..
„ტანჯვით ჩნდება მარგალიტი“
და წამებაც ძლეულია.

რამდენი ქარაგმაა...

ამ სამყაროში რამდენი ქარაგმაა,
რამდენი ამოუცნობი სიტყვა და გამა,
რამდენი აზრი თქმულა
და რამდენია ამოუთქმელი...
ლმერთო, შეგვენიე, შეგვიფარე,
გონება მოგვეც, ამოვხსნათ
და გადავთარგმნოთ
უცხო და ჩაგვირისტებული სტრიქონები...
სტიქიონებისაგან დაგვიფარე,
საქვეყნო ურვა და დარდი გვაკმარე,
გონება გაგვინათე და გაგვანათლე
ჩვენ – უგუნურნი და უმეცარნი,
ჩაკეტილი გულისკარი გაგვახსნევინე–
ჩვენში რომ შემოგვიწიოთ
და სასოებით პატივი მიგაგოთ.

ბევრი მთა გადავიარე,
ნისლები მყავდა მძევლადა,
ხელში მეჭირა, ღვთის მადლით,
პირთამდე სავსე ხელადა, –
მთელი ცხოვრების მანძილზე
მოპოვებული ძნელადა.

„და ის, რომ ანათებ...“

რა იქნებოდა ჩვენი ქალაქის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება მაყვალა ხაჩიძის გარეშე? – ბევრად ღარიბი და უფერული.

დიახ, ჩემი მეგობარი მაყვალა ხაჩიძე ნახევარ საუკუნეზე მეტია, არამცუ მყარად დგას მშობელ მიწაზე, თავისი სულიერებით, სიკეთით, სიყვარულით და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, საინტერესო, მხატვრული აზროვნებით ალამაზებს, აფერადებს და აკეთილშობილებს ჩვენს ცხოვრებას.

ყველა ადამიანი ამქვეყნად თავისი მისით მოდის, მაყვალასაც განგებამ გამორჩეული მისია დააკისრა: თანამოქალაქების გულებში სიყვარულად უნდა შესულიყო, რათა ყოველი მისი სიტყვა, მინიატურა თუ ჩანახატი მათთვის ახლობელი გამხდარიყო. ასეც არის. ჩემი თაობის ხაშურელებისთვის მაყვალა იმთავითვე იქცა მთრთოლვარე სულის შემოქმედად, რომელთანაც მეგობრობა, მის გარშემო ტრიალი უხაროდა ყველას. ამიტომ იყო, რომ მაყვალას სახლი და მისი სამსახური, სადაც უნდა ყოფილიყო – რაიონული გაზეთის რედაქცია, ენის რაიონული სამმართველო თუ ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, იქცეოდა ხოლმე ხელოვნებისა და სულიერების ერთგვარ კერად, სადაც ადამიანებს შეეძლოთ, არა მხოლოდ ემსჯელათ მათთვის სასურველ საკითხებზე, არამედ, ზიარებოდნენ ერთმანეთის შემოქმედებას, უკეთ გაეცნოთ ჩვენი მწერლობა, მშობლიური ენის სიდიადე.

ეს ყველაფერი იყო და, საბედნიეროდ, დღესაც არის. მაყვალა ისევ ისეთი სიყვარულით უძლვება სამუზეუმო გაერთიანებაში საგამომცემლო საქმეს, როგორც სჩვევია. მასთან სიახლოვე დღესაც სურთ და ეამაყებათ ყველა თაობის ჩვენს თანამოქალაქეებს და ამას აქვს თავისი საფუძველი: ნიჭიერებასთან ერთად, მაყვალას გააჩნია ის სულიერი საზრდო, რომელიც ასე ჭირდებათ ადამიანებს, ის ღირსება, რაც საკუთარი ცხოვრების წესით მოიპოვა, ის ერთგულება, რისთვისაც არასოდეს უღალატია. ამიტომ არის მაყვალა ჩვენთვის ერთგვარი სიწმინდის, შეუპოვრობის, არდანებების, დასახული მიზნისკენ დაუდეგარი მებრძოლის სიმბოლო. თუმცა, ეს ყველაფერი მასთან იოლად როდი მივიდა... იყო იმედგაცრუებაც, შვილთან ერთად დარჩენილი ახალგაზრდა დედის ცრემლიანი დღეებიც... მაგრამ იყო უზარმაზარი სურვილი იმისა, რომ სანუკვარი მიზნისთვის მიეღლნა.

და მაყვალამაც ყველაფერი გააკეთა, რომ წარმატებით
დაემთავრებინა სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული ფილოლოგიის
განხრით, რაც იმ დროისთვის, მართლაც, გმირობის ტოლფასად
ითვლებოდა. მაყვალას შეეძლო უნივერსიტეტში კათედრაზე დარჩენა,
დისერტაციის დაწერა, რის შეთავაზებაც ჰქონდა, მაგრამ იგი ხაშურში
დაბრუნდა და ნამდვილი მოღვაწეობა დაიწყო. ის მუდამ ეროვნული
მუხტით იდგა ცხოვრების ავანგარდში, საიდანაც ყველაზე უკეთ ჩანდა
სამშობლოს გულისაკენ მიმავალი გზა. ამ ყველაფერთან ერთად,
მაყვალამ შეძლო ყოფილიყო მისაბაძი დედა და საზოგადოებისათვის
ლირსეულად გაეზარდა შვილი.

მაყვალა დღეს თავის ნაღვანს იმკის. მერე რა, რომ მხრებზე და თმაში ზამთარმა ჩამოათოვა... გულში მუდამ გაზაფხული უდგას, მის მზიან სულს კი, დღესაც ისევე შეუძლია ადამიანებისათვის სიკეთისა და სილამაზის ზიარება, როგორც ეს მისი ცხოვრების განმავლობაში იყო და, იმედი მაქვს, კიდევ დიდხანს იქნება. მისადმი გულწრფელი სიყვარულის გამოხატულება იყო 25 იანვარს ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გამართული მაყვალას საიუბილეო საოამო.

ხაშური კი იმითაც არის გამორჩეული ქალაქი, რომ მის ქუჩებში ათეული წლებია დინჯათ დააბიჯებს ჩვენი მეგობარი.

დიდხანს იაროს, ამ, მართლაც, საპატიო ხაშურელმა მშობლიური ქალაქის ქუჩებში!

მურად მთვარელიძე – მწერალი, ფილოლოგიის
მასანიერებათა დოქტორი, პროფესიონალი.

ქალბატონი მაყვალა მკითხველს აიძულებს, დაფიქრდეს, თუ საიდან იღებს დასაბამს სამყარო, ახალი ფორმით ამდიდრებს შემოქმედებით სფეროს, რომელსაც წინ უძლვის დაკვირვება, გრძნობების ინდივიდუალური ბუნება.

გულითადად ვულოცავ იუბილეს საინტერესო ქალბატონს. ჯანმრთელობა და შემოქმედებითი წარმატებები არ მოაკლოს უფალმა.

გივი გელაშვილი, პოეტი.

THE LAW OF KARMA

* *

ქალი – თავად პოეზია, უშურველად რომ გასცემს სითბოსა და სიყვარულს... შეგვახსენებს, რომ პროზაულ ცხოვრებაშიც პოეზია უნდა დავინახოთ...

ვულოცავ მაყვალას იუბილეს – მუდამ მეოცნებესა და მარად ახალგაზრდას...

ცირა დიდებულიძე.

A decorative horizontal flourish consisting of two symmetrical scroll-like ends connected by a straight line.

* * *

ნეკერჩელის ტოტო, გაზაფხული თუკი დაგზაფრავს,
შემოგენთება ტანზე წილად ავი სიზმარი,
მერე მიხვდები, „ამაოა თურმე ყოველი,
თუ სიყვარულით არ იღვიძებ ყოველ ცისმარე“.


გიორგი ლობჟანიძე – პოეტი, მთარგმნელი,
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

A decorative horizontal flourish consisting of two symmetrical scroll-like ends connected by a straight line.

უურნალისტს, პოეტს, ნიჭითა და ქართული კლემამოსილებით აღსავსეს, სამშობლოსათვის მლოცველს, **ქ-ნ მაყვალა ხაჩიძეს**, მისი კეთილშობლებით მოხიბლული, ვულოცავ იუბილეს. ვუსურვებ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიკოცხლეს.

ზურაბ კუჭირიძე

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.





3 თ ე ბ ა დ


 ხ ა კ ა ძ ე
ხ ა კ ა ძ ე

ვწერ

ვწერ,
გარს მარტყია ჩემი სამყარო,
ყველა სიზმარი აქაა ცხადლივ!
ცაში სიტყვები უნდა ავყარო,
მზეს რომ მივართვა ლექსი, ვით მადლი!
ვწერ...
ოცნებები იძერწებიან,
თითებში ფიქრის მეღანი წვეთავს,
მეხეთქებიან, მეფერებიან,
სიტყვები, მათი აზრების მწერალს!
ვწერ!
ყვავილებად მოდის ფილმები,
ლექსის ფთილები,
ლექსის ძირები,
და ჩემს სამყაროს, როგორც შვილები,
ფურცელზე მსხდომებს გავეტირები...
ვწერ...
სიყვარული ისე დიდია,
ისე რჩეული,
ისე დიადი!
სული შეშლილი და თან მშვიდია,
არც დილა არის და
აღარც წყვიდიად!
ვწერ...
დედამინა ვისთვის წრე არის
და ვისთვის სწორი ქვაკუთხედია.
მთავარია, რომ ცაზე მზე არის,
მთვარეს კი ცხვირი წაუტეხია!
ვწერ...
სიძლიერეს არ უჩანს ბოლო,
ახლა უფროორ ტკივილებს ვდევნი,
ეს მე ვარ შენი თავი და ბოლო,
შენ კი წარსული ცხოვრების დღნი.
ვწერ...
უსასრულოდ!
დაუღალავად!
ხორცი უსულოდ მხოლოდ ლეშია,
ლექსმა სიშიშვლე დაუფარა მას,
ვინც ვერ იტირა...
შვება ლექსშია!
ვწერ!...

მასნავლებელი

მამულს გვირგვინად აჩნდება
მასნავლებლისა ტვირთი;
რამდენი შვილიც გაჩნდება,
იმდენ ღიმილით ითვლის.
თეთრად დაფენილ ფიქრებში,
იმედის სხივი მღერის!
მასნავლებელო, უთვლელი
სამადლობელი გელის!

* * *

რით ვეღარ მიხვდით,
ქარიშხლები უფრო მიზიდავს!
გულის ბზარები
მზის სინათლის სხივად მარტყია!
ჰო! ასეთი ვარ, —
ამოზრდილი ფერად სიზმრიდან
და ზეცას ვუჭვრეტ,
ისე, თითქოს სულის სარკეა.
რატომ ვერ ხვდებით,
მედგრად ვდგავარ
და კვლავ ვიდგები!
სადაც უფალმა მისახსოვრა მე დიადემა!
თავთავებისთვის მელოდება
შვილთა მინდვრები,
ცხოვრებას ჩემსას
ანგელოზმა ფრთა მიადევნა...
მოვიმკით ნაყოფს,
რაც დავთესეთ
და რაც ვახარეთ,
გარდუვალია, —
ყველა ნახავს
თავის მოწეულს,
არახალია
ეს ყოველი,
არახალია!..
მე ველოდები მზისფერ დისკოს,
მლიმარ ბრონეულს!
რით ვეღარ ხედავთ,
ქარიშხლები ვერას მაკლებენ!
ამ ჩემს ანგელოზს
არ დაეტყო არც დაღლა, სევდა...
ეს გამოწვევა
მე საკუთარ თავში მახედებს...
ასეა!..
რაც ვთქვი...
და აქამდეც რომ უნდა მეთქვა!

იარებს

მზის სურნელია, ჰაერს რომ ერწყმის,
ისე უბინოდ ზეცა კრიალებს,
გაზაფხულივით მიღმის ლექსი
და ვერ დამატყობს კვალს, ნაიარევს!
ვერ მივახატე ჩემი სინათლე
გრძნეულ ჯადოქარს, უცხოს და უბირს,
შემოვიფარე ლპილი სინაზე,
დავტოვებ მარტო ულირსთან ულირს!
გაზაფხულია ახლა ჩემი დღე,
(მე დავიღალე, სხვაც დაიღალოს!)
მარტო დარჩენილს უცხო ბუნაგში
ტყვია-ტყუილი გულს დაიხალოს!
ახლა კი მარტი თუ მღერის სოლოს,
აპრილი დგას და ამაყად იცდის!
სხვას თავის სევდა მოუღებს ბოლოს,
ჩემი გული კი ტკივილებს იცვლის...
გაუფერულდა რადგან სიმღერა,
ვერ შევასწავლე ანი და ბანი,
როგორ მეგონა, რომ დაიმღერა
ბედნიერებამ უტკბესი ქნარით...
ნაბილნეს ყველა თეთრი ოცნება,
უფრთო ფიქრი და კეთილი სენი,
ვერსად ვიხილე მე გამოწვდილი,
მართალი კაცის ძლიერი ხელი!
აი, ეს არის ჩვენი ცხოვრება,
გამოცანა და მხოლოდ ტყუილი...
ამიტომ, არ გაქვს უფლის ცხონება,
გაკრთობს ტკივილი და მგლის ყმუილი!
...მაგრამ, ახლა რა მოსატანია,
ამ გაზაფხულზე ტკირთი და ვიში!
მზის სხივი ჩემთვის თავსაფარია,
ნავთსაყუდელი სად არის, ვისში?!
მზის სურნელია, ჰაერს რომ ერწყმის,
ისე უბინოდ კრიალებს ზეცა!
მე დავიკარგე ცრემლიან ლექსში...
და სევდა სულის გაშლილ ფრთებს კეცავს!

ყაყაჩო

ნინასწარმეტყველება

ვიღაცასთან ფოთოლცვენა მეფობს,
სულშიც, ალბათ, მზემ აიგო ბინა,
ვიცი, ჩემი სულის მეუფეო,
რას ირეკლავს ამ თვალების მინა!
ცა შავ პერანგს ცისარტყელას უხსნის,
ეს მირაჟი არ დამტოვებს, ვიცი,
განა ამ გულს ეგ სიტყვები უღირს?
არ მჭირდება მატყუარას ფიცი!
მედარდება, რომ ერთ დღესაც, ავბედითს,
ჩემს ბილიკებს ვერ მოხატავს ფოთოლი,
მერე როგორ დავიჯერო ბედის?
ხომ ვიქნები ობოლი!
არც რა გესმით?
ზენა ქარი სხვაა...
დროის გზაზე დამეფანტა კენჭები,
განდეგილი წლების ტბა და ზღვაა,
ვგრნობ, თუ როგორ ვკენტდები!
ვიღაცასთან ქარი ჩუმად ღრეობს,
სულშიც, ალბათ, სხვამ მოუთბო ბინა,
არ მოტყუვდე, ჩემო გულის მეო,
არ შეუშვა ეგ ქარბუქი შინა!

მე ყაყაჩოს ბედი ვიცი,
ღვივის პირმომცინარე,
ყველას ხიბლავს მზერა მისი
მაგრამ მაინც სწირავენ!
დაუნდობლად მოცელავენ,
ღიმილს არც კი აცლიან,
უსათუთეს, წმინდა გრძნობებს,
ერთ წამში გააცლიან!
პურის ყანას ეწირება
სისხლისფერი სინაზე,
დიდი დრო არ უწერია,
როგორც წყლის წვეთს მინაზე.
ეჱ, იყო და არა იყო,
სიმღერა თუ არია,
სულ მგონია, რომ ყაყაჩო
მარტოსული ქალია!

* * *

რა მენატრება?
ნუ, ნუ მკითხავ,
რადგან შენ იცი,
რომ ლურჯთვალება აპრილები
მზის ჩემში ჰპადებს,
ცის მზეწნულიდან,
წარსულიდან
ბავშვობის ფიცით,
ლურჯთვალა ია მენატრება
კველაზე ადრე!